



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030472818851118

№ 04-62/ო

24 / იანვარი / 2018 წ.

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ გადაუდებელი სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის კომპონენტით გათვალისწინებული ნოზოლოგიებისა და მდგომარეობების წარმოდგენის ღონისძიებათა თაობაზე” სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 31 ოქტომბრის N04-789/ო ბრძანებაში ცვლილების შესახებ

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში (შემდგომში – დადგენილება) საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №19 დადგენილებით შეტანილ ცვლილებებთან სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 31 ოქტომბრის №04/789/ო ბრძანების შესაბამისობაში მოსაყვანად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 23 იანვრის №01/3860 წერილის გათვალისწინებით, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) ადმინისტრირების რიგი საკითხების დაზუსტების მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 61-ე მუხლების, აგრეთვე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ გადაუდებელი სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის კომპონენტით გათვალისწინებული ნოზოლოგიებისა და მდგომარეობების წარმოდგენის ღონისძიებათა თაობაზე“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 31 ოქტომბრის №04-789/ო ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით და მის საფუძველზე დამტკიცებული დანართი შეიცვალოს წინამდებარე ბრძანების №1 დანართით:

„1. 2018 წლის 1 იანვრიდან პროგრამის გადაუდებელი სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების, ასევე ინფექციური დაავადებების მართვის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების რეგისტრირებული მიმწოდებლების მიერ გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების, დადგენილების №1.2 დანართით განსაზღვრული გადაუდებელი მდგომარეობების, დანართი №1.7.1-ით გათვალისწინებული ნოზოლოგიების და დანართი №1.3-ის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაციის (იმ სამედიცინო დაწესებულებებისთვის, რომელიც არ არიან „ინფექციური დაავადებების მართვის“ მომსახურების მიმწოდებლები) შემთხვევების შესახებ ინფორმაციის წარდგენა, სპეციალური ელექტრონული პროგრამის საშუალებით, განხორციელდეს ამ ბრძანების დანართით განსაზღვრული ხელოვნური კოდების შესაბამისად.“ ;

2. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), წინამდებარე ბრძანების გაგზავნა/გადაცემა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის, სააგენტოს დირექტორის აპარატის, სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრებისათვის;

ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), წინამდებარე ბრძანების სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება, საჯარო გაცნობის მიზნით;

გ) სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (მ. მალაკელიძე-ხომერიკი), ამ ბრძანების შესრულების კოორდინაცია.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე